

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2013 წლის 25 იანვრის

დადგენილება №852

„ERP სისტემების სწავლების“

ახალი სასწავლო ლაბორატორიის

შექმნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. "ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის" ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიქმნას "ERP სისტემების სწავლების" ახალი სასწავლო ლაბორატორია.
2. ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციის უფროსს, პროფესორ ქ. ქოქრაშვილს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ლაბორატორიისთვის საჭირო აღჭურვილობის (იხ. დანართი) შეძენა და 3500 ევროს გადახდა სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური კომპეტენციის ცენტრისთვის, "ERP სისტემების სწავლების" ლაბორატორიის სათანადო ჰოსტინგით მომსახურებისთვის.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

და ნ ა რ თ ი

"ERP- სისტემების სწავლების" ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი

1. მონაცემთა პროექტორი (1 ცალი)
2. ეკრანი (1 ცალი)
3. დაფა (მარკერით საწერი) (1 ცალი)
4. სერვერული კომპიუტერი მონაცემებით: არანაკლებ 16 GB ოპერატიული მეხსიერება, 4 ბირთვიანი XEON პროცესორი არანაკლებ 2.4 GHz სიხშირით, ორი ვინჩესტერი RAID 0/1 რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობით (2 ცალი).

შენიშვნა: უნდა დაინსტალირდეს ოპერაციული სისტემა Windows 2008 Standard Edition და მათზე ამოქმედდეს ტერმინალური სერვერი

5. საოფისე პერსონალური კომპიუტერი მონაცემებით: არანაკლებ 4 GB ოპერატიული მეხსიერება, 2 ბირთვიანი პროცესორი არანაკლებ 1.9 GHz სიხშირით, ვინჩესტერი არანაკლებ 500 GB მოცულობით, არაინტეგრირებული ვიდეოპლატით; LCD მონიტორი არანაკლებ 19 დუიმიანი დიაგონალით 3:4 პროპორციით; მაუსი, კლავიატურა და დინამიკები - სტანდარტული (21 ცალი)

შენიშვნა: უნდა დაინსტალირდეს Windows 7 და საოფისე პროგრამები..

6. მძლავრი უწყვეტი კვების ბლოკი არანაკლებ 1500 VA სიმძლავრით, USB პორტიდან მართვადი (2 ცალი).
7. საშუალო სიმძლავრის უწყვეტი კვების ბლოკი არანაკლებ 750 VA სიმძლავრით, USB პორტიდან მართვადი (21 ცალი).
8. მულტიფუნქციური შავთეთრი ლაზერული პრინტერი (სკანირების და კოპირების შესაძლებლობით) A4 ფორმატზე დუპლექსური ბეჭდვის შესაძლებლობით და Ethernet ადაპტერით (1 ცალი)
9. ფერადი ლაზერული პრინტერი A4 ფორმატით (1 ცალი)
10. გაყვანილობითი კომპიუტერული ქსელის მართვადი მოწყობილობა არანაკლებ 25 კომპიუტერის მიერთების შესაძლებლობით (Switch) (1 ცალი)
11. უკაბელო კომპიუტერული ქსელის მართვადი მოწყობილობა (Wireless access point) (1 ცალი)
12. მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ-მიერთება სტატიკური IP მისამართით.

